მე-8 კლასი

1.რომელი არქიტექტორია სურათზე გამოსახული ნაგებობის ავტორი?

ა. ფრენკ ლოიდ რაიტი
ბ. ანტონი გაუდი
გ. გუსტავ ეიფელი
დ.ლე კორბუზიე

2.რომელი განმარტება შეესაბამება სურათზე მოცემული გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის აღწერილობას?

ა. ლარნაკის მორთულობა მითოლოგიური პერსონაჟების რელიეფური გამოსახულებებისა და ორნამენტული ნახატის საინტერესო კომბინაციას წარმოადგენს

ბ. ლარნაკის ზედაპირზე შავი საღებავით შექმნილ ფონზე ადამიანთა წითელი ფიგურები და ფრიზისებური ორნამენტი, წითელფიგურიანი კერამიკის საინტერესო ნიმუშს ქმნის

გ. სტილიზებული გამოსახულებებისა და ორნამენტის სინთეზი ლარნაკზე ძველი ბერძნული წითელფიგურიანი კერამიკის ტიპურ ნიმუშს ქმნის

დ. შუქისა და ჩრდილის მკვეთრი მონაცვლეობით ლარნაკის ზედაპირზე ფიგურები მოცულობით ფორმას იძენენ, რაც სივრცის ილუზიის შექმნას ემსახურება

3.ვინ ითვლება იმპრესიონიზმის ფუძემდებლად?

ა. პიერ ოგიუსტ რენუარი
ბ. კლოდ მონე
გ. ედგარ დეგა
დ. კამილ პისარო

4. რა არის ფრონტონი?

ა. სვეტის დეკორატიული თავი;
ბ. ორქანობა გადახურვის ფრონტალური სამკუთხა არე;
გ. ტაძრის შიდა სივრცე;
დ. ჩაღრმავებები სვეტის ზედაპირზე.

მე-9 კლასი

1. რომელი უძველესი კულტურის ნიმუშია წარმოდგენილი ფოტოზე?

ა.ეგეოსური;
ბ.ეტრუსკული;
გ.თრიალეთის;
დ.მტკვარ-არაქსის.

2. რომელია ეგვიპტეში აღმოჩენილი ელინისტური ფერწერის ნიმუშები?

ა. ვაკჰანტების სამარხის მოხატულობა;
ბ. ფაიუმის პორტრეტები;
გ. ლივიის სახლის მოხატულობა;
დ. ფავნის სახლის მოხატულობა.

3. დაასახელეთ წარმოდგენილი ნამუშევრის ავტორი

ა. კაზიმირ მალევიჩი
ბ. პიტ მონდრიანი
გ. სალვადორ დალი
დ. როი ლიხტენშტეინი

4. რომელი მხატვრული ხერხი ქმნის სამგანზომილებიანი სივრცის ვიზუალურ ეფექტს სასურათე სიბტყეზე?

ა. ფერადოვანი ლაქების კონტრასტი;
ბ. სიმეტრია;
გ. პერსპექტივის კანონები;
დ. სახვითი საშუალებების ჰარმონიული მთლიანობა.

5. რომელი კულტურისა და ტრადიციების გავლენა შეინიშნება საქართველოში, ვანში აღმოჩენილ ბრინჯაოს გამოსახულებაზე (ვ. წ. II საუკუნე)?

ა. სპარსული

ბ. ბერძნულ-რომაული

გ. ადგილობრივი საოქრომჭედლო ტრადიციები

დ. ყველა ზემოჩამოთვლილი